# ტელემედიცინის სერვისები და პანდემია მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების მაგალითებზე

**დეა ჭითავა**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

მოწვეული ლექტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

დეა ჭითავა 28.07.2022



# აბსტრაქტი

ნაშრომში „ტელემედიცინის სერვისები და პანდემია მსოფლიოში წამყვანი ქვეყნების მაგალითებზე“ განხილულია ტელემედიცინის არსი და ისტორიული საფუძვლები. აქცენტი გაკეთებულია ტელემედიცინის გამოცდილებაზე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებსა და საქართველოში. მესამე თავი სრულად ეთმობა კვლევის სტატისტიკურ ანალიზს. გამოყენებულია როგორც მარტივი, ასევე რთული სტატისტიკური პროცედურები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის მოსახლეობის ინფორმირებულობის დადგენა ტელემედიცინის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე რა ტიპის პრობლემები არსებობს აღნიშნულ სფეროში საზოგადოების აზრით. კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ანონიმური ანკეტური გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 21 ღია და დახურულ კითხვას. მასში მონაწილეობა მიიღო 210-მა რესპონდენტმა. მიღებული შედეგების დამუშავება მოხდა SPSS სტატისტიკური პროგრამული პაკეტის გამოყენებით. კვლევის პროცესში მოვახდინეთ მონაცემთა ზოგადი ანალიზი. ამასთან, წარმოვადგინეთ მნიშვნელოვანი ჰიპოთეზები, რომელთა შესამოწმებლად გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი, ხი-კვადრატ ტესტი (chi-square test), კრუსკალ ვალის ტესტი (Kruskal-Wallis test) და ერთფაქტორული დისპერსიული ანალიზი (One Way ANOVA). მოდელის საიმედოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა. საბოლოოდ კი, წარმოვადგინეთ დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც ვფიქრობთ მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს, როგორც სახელმწიფომ, ასევე კერძო სექტორმა, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ტელემედიცინის მიმართ ინფორმირებულობის ხარისხი და საზოგადოებამ მიიღოს შესაბამისი სარგებელი. მიგვაჩნია, რომ სასურველი აღნიშნული საკითხის სიღრმისეული კვლევა გაგრძელდეს მომავალშიც, რომელიც მოიცავს სრულიად საქართველოს.

***საკვანძო სიტყვები:*** *ტელემედიცინა, ჯანდაცვა, ტელეჯანმრთელობა, ტელემედიცინის სერვისები*

# Abstract

The paper "Telemedicine Services and the Pandemic on the Examples of the World's Leading Countries" discusses the essence and historical foundations of telemedicine. The focus is on the experience of telemedicine in the world's leading countries and in Georgia. The third chapter is fully devoted to the statistical analysis of the research. Both simple and complex statistical procedures are used. The aim of the research was to determine the awareness of the population of Tbilisi regarding the issues of telemedicine, as well as the type of problems that exist in the mentioned field. To conduct the survey, we used an anonymous questionnaire that included 21 open-ended and closed-ended questions. 210 respondents took part in it. For analysis of results we used SPSS statistical software package. In the course of the research we performed a general analysis of the data. In addition, we presented important hypotheses, which we tested using correlation analysis, chi-square test, Kruskal-Wallis test, and One Way ANOVA. In order to test the reliability of the model, we used Cronbach's alpha. Finally, we have presented conclusions and recommendations, which we think are important to take into account, both for the state and the private sector, in order to significantly increase the level of awareness of telemedicine and the public to receive appropriate benefits. We believe that it is desirable to continue in-depth research on this issue in the future, which includes different parts of Georgia as well.



***Keywords:*** *Telemedicine, Healthcare, Telehealth, Telemedicine Services*